იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თინათინ გავაშელი

ქრისტიანული მოტივები
გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

*ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის*

ავტორეფერატი

ქ. თელავი
2008

ნაშრომი შესრულებულია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის პროგრამის ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის მოდულში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი (10.01.01)

ოფიციალური ოპონენტები:

1. ნუგზარ წერეთელი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

2. მალხაზ კობიაშვილი

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2008 წლის 18 დეკემბერს,14 საათზე ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: ქ. თელავი, უნივერსიტეტის ქ.№1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2008 წლის „--18---"--XI---

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ქეთევან გიგაშვილი

2162

ნაშრომის ზოგადი დახასიათება. გურამ რჩეულიშვილის პიროვნებასა და შემოქმედებაზე XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე მნიშვნელოვანი, საგულისხმო ბევრი დაწერილა. საკვლევი კვლავ რჩება, განსაკუთრებით, ქრისტიანული რწმენის თვალსაზრისით.

ერთი მხრივ, გურამ რჩეულიშვილის პროზის სიღრმე და თავისთავადობა განაპირობებს მხატვრული სახეების განსხვავებულ ინტერპრეტაციათა დაუსრულებლობას, მეორე მხრივ, დროისა და ეპოქის თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი დონის შესაბამისად იცვლება ის კრიტერიუმები, რითაც ხდება ქრისტიანულ რწმენასთან მიმართებით ტექსტების გააზრება და შეფასება.

გასული საუკუნის საყოველთაო ურწმუნოების პერიოდი შეიძლება, ერთ-ერთ ურთულესადაც ჩაითვალოს საქართველოს ისტორიაში, რადგან ქვეყანამ ოდითგანვე განსაზღვრულ ცხოვრების წესს გადაუხვია. ისტორიისათვის არც ისე ბევრმა, სამოცდაათმა წელმა მნიშვნელოვნად შეცვალა ხალხის ფსიქოლოგია. თითქოს, ერში არსებულმა ყველა პოტენციურმა ნაკლმა ერთად იჩინა თავი. თუ რატომ, ამის პასუხი მარტივად შეგვიძლია დავით გურამიშვილთან მოვნახოთ, „ქართველთ მადლს ცოდვამ დასწონა" და „ღმერთმა მათ პასუხი უყო ცოდვისა"...

ისევ ღვთის უსაზღვრო მოწყალებით, სინანულის მადლით და ძალით გადავრჩით. რაც, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, ერთეულების ხარჯზე მოხერხდა. იოლი არც არასდროს ყოფილა უფლის გზით სიარული: „ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებენ მას" (მათე, 7.14). ერის შინაგანი ხმა გამორჩეულებში შენარჩუნდა.

ნაშრომში შესწავლილია ქრისტიანული რწმენის სხვადახსვაგვარი გამოვლინება გურამ რჩეულიშვილის პროზაში, დღიურებში, ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, ნაცნობ-მეგობართა, ახლობელთა მოგონებებში.

გამოკვლევის მიზანია განვიხილოთ ქრისტიანული რელიგიის გავლენა, კვალი მწერლის პიროვნებასა და შემოქმედებაში. ყურადღება გავამახვილოთ ასპექტებზე, რომელთაც ნაკლებად შეხებიან მკვლევარები.

TBILISI STATE UNIVERSITY ... DARBAZI